სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

13 ნოემბერი 2025

N 705/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვედა მესხეთში, შპს „ორიონის“ 10000 მ³ ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლისა და ამავე კოდექსის I დანართის 29-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვედა მესხეთში, შპს „ორიონის“ 10000 მ³ ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N64;
2. შპს „ორიონი“ ვალდებულია საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N64 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ორიონს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ორიონის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/705-21-4-202511131524

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE